სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს

შპს „სქაი ბილდინგ“-ის (ს/კ:404482314) დირექტორის

ბატონ გიორგი მჭედლიშვილის (პ/ნ:01007001686)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ შპს „სქაი ბილდინგ“ თქვენ მიერ 2014 წლის 28 ივლისს გაცემული (ბრძანება #1518720, (AR1240069) ნებართვის შესაბამისად აწარმოებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. მშენებარე ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის #8-36 დადგენილების საფუძველზე, შპს „სქაი ბილდინგ“-მა მიიღო დადებითი პასუხი ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე. ამან საშუალება მისცა შპს „სქაი ბილდინგ“-ს 2 (ორი) ნაკვეთის (ნაკვეთების საკადასტრო კოდები: 01.14.07.001.030; 01.14.07.001.011) ერთი საკადასტრო კოდის ქვეშ (საკადასტრო კოდი: 01.14.07.001.044) გაერთიანების შემდეგ, მეორე მრავალფუნქციონალური შენობის მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლების ეზოების მწვანე საფარის მნიშვნელოვნად გაზრდისა და უფრო მეტად კომფორტული პირობების შექმნისა ადგილობრივი და მომავალი მაცხოვრებლებისთვის. ასევე, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნკვეთით, რომელზეც ვითხოვთ ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (გაპი) კორექტირებას, უნდა ისარგებლოს ორივე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლებმა და მაცხოვრებელების მიერ თავიანთ ავტოფარეხებში შესვლაც აღნიშნული ნაკვეთის გავლით მოხდება. ზემოხსენებული მიწების გაერთიანება და მეორე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ორივე სახლის მაცხოვრებლებისთვის. აგრეთვე გაცნობებთ რომ წარმოდგენილ ტერიტორიაზე სკოლის მდებარეობის გამო ესაჭიროებათ ავტო სადგომები და გადატვირთული მოძრაობის გამო სულ საცობებია. ჩვენ მიერ აღნიშნული პრობლემა მაქსიმალურად გავითვალისწინებულია და ავტოსადგომები დავამატეთ წინა მხრიდან. აგრეთვე ვაკეთებთ საბავშვო გასართობ სკვერს, სათამაშო მოედნებით რომელიც მოემსახურება ყველას მაცხოვრებელს.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 სექტემბრის # 3527563 (AR1536825) გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა ხსენებული 2 (ორი) ნაკვეთის (ნაკვეთების საკადასტრო კოდები: 01.14.07.001.030; 01.14.07.001.011) გაერთიანება ერთი საკადასტრო კოდის ქვეშ (საკადასტრო კოდი: 01.14.07.001.044).

იმ მიზნით, რომ შპს „სქაი ბილდინგ“-მა განახორციელოს ზემოხსენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (მშენებარე და საპროექტო) უფრო კომფორტულ გარემოში ფუნქციონირება, მოგმართავთ ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (გაპი) კორექტირების თაობაზე.

გთხოვთ, დაგვიკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნა, რომელიც შეესაბამება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ქალაქგეგმარებით დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებას.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ესკიზურ-გრაფიკულ მასალას.

პატივისცემით,

შპს „სქაი ბილდინგ“

დირექტორი

გიორგი მჭედლიშვილი „05“ ოქტომბერი, 2017წ.





